

## რაზე მიწყრები, ყეენო

[წარსული საუკუნოების ამბავი]

რაზე მიწყრები, ყეენო

ვიბრძოდი ქართველის ჯარშია,  
დღეს შენი ტყვე ვარ, ხელთ დაგრჩი,  
რა კი დავიჭერ მხარშია...

მამულისათვის ვიბრძოდი,  
რაში შემწამე ღალატი..

შენი რა მმართვეს, ყეენო,  
თავს რომ მადგია ჯალათი.

მე სჯულისათვის ვიბრძოდი,  
სხვა რა შემწამე ავია..

სჯულს არ შევიცვლი, ყეენო,  
არ მოკვდეს ჩემი თავია.

ამისთვის თუ ო გგონია  
მენა ვარ მოსაკლავია,

"თავი მომთხარე კისრიდგან  
მომჭერ ფეხი და მკლავია,

მაგრამ ყელს გიწევ. ყეენო,  
შენი შვილების ღმერთსა,

ისმინე ჩემი ვედრება:

დღეს მე ნუ მომჭრი ენასა,  
მინდა მოკითხვა შევთვალო,

ვილაპარაკო ქართული,

მადიდო იესო ქრისტე,

სჯული ენასთან შართული.